წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. 47 სამშაბათი, 23 ივნისი 1915 წ. № 26

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარეშე 10 საათიდან 5-7-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76,

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე), და ეღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის“ იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская, 4 поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

ძმ. ზუგალაშვილების სახელ. სახალხო სახლი

ოთხშაბათს 24 ივნისს ქართველ მსახიობთა მიერ

ვალ. გუნიას, ვ. გამყრელიძის და გ. გედევანიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

დ ა - ძ მ ა

მოწაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

რეჟისორი ვალ. გუნია. გამგე ი. ჟვიძე

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე

პირველხარისხოვანი

„კ ა ფ ე ბ ო რ დ ო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენერბური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და **ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ძ. გ ო რ შ ი

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

თბილისი, 23 ივნისი.

დიდი და პატარა ერები ომის წინაშე.

დიდი სახელმწიფონი ღრმა ეკონომიურმა და ფსიხოლოგიურმა,—თვით ამ სახელმწიფოთა წიაღში აღზრდილ-განვითარებულმა მიზეზებმა წაჰკიდა ერთმანეთს. ერთის მხრით ზომას გადაცილებული ზრდა გერმანიის ვაჭრობა-მრეწველობისა, რომელიც დაჟინებით მოითხოვს ახალ-ახალ ბაზარს, რომ დღევანდელი პოლიტიკის მესვეური, ბურჟუაზია დააკმაყოფილოს, მეორეს მხრით—ამავე სულით გაჟღენთილი ინგლისის წარმოება—შეეტაკნენ ერთმანეთს მსოფლიო ბაზარზედ, რომლის მეგობრულად განაწილება, ისედაც რთული, რთულდება სხვა კონკურენტ სახელმწიფოთა ჩარევით. საფრანგეთი, იაპონია, შეერთებული შტატები არა ნაკლებ სცდილობენ იხელთონ რამე აფრიკასა თუ აზიაში. ნუღარას ვიტყვით რუსეთზედ, რომლის ზრდა თუმცა ბაზრის სივიწროვით არ არის გამოწვეული, მაგრამ იმდენად თვალსაჩინოა, რომ სივრცით აღემატება ყველა სხვა სახელმწიფოს.

ამ მატერიალურ-ეკონომიურ მიზეზთა გარდა არა ნაკლებ როლს თამაშობს ის იმპერიალიზმი, რომლის ფსიხიური საფუძველი მსოფლიო ბატონობის სურვილია. მსოფლიო ბატონობის წყურვილი ამოქმედებდა არა მარტო ცალკე პიროვნებათ, არა მარტო ალექსანდრე მაკედონელებს, ცეზარებს, კარლოსებს, თუ თემურლენგ-შაჰაბაზებს, არამედ მათ შემქმნელ ერებსაც. რომი მთლად იყო გაჟღენთილი ამ ბატონობით, თავის დროზედ ესპაანიის მეფე ფილიპეს თავი მოჰქონდა იმით, რომ მის სახელმწიფოში „მზე არას დროს არ ჩადის“; ასევე ბჭობდა ინგლისი, როცა ვაჭრული რკალით შემოფარგლა ნახევარი მსოფლიო. დღევანდელ ომს აწარმოებს გერმანელთა მთელი ერი სწორედ მსოფლიო **ბატონობის** დასაპყრობად და არა მარტო ბაზრების მოსაპოებლად, ვინაიდან გერმანიის ვაჭრობა-მრეწველობა შეიცავს ისეთ ძლიერ შინაგან თვისებებს, რომელთაც თვით ომის დროსაც არ უჭირდებათ მტრულად განწყობილ ქვეყანათა ბაზარზედ თავისი ნაწარმოების გამოტანა; მშვიდობიანობის დროს ხომ მისმა კონკურენციამ ლამის წალეკოს არა მარტო სახელმწიფოთა გარეშე ბაზრები, არამედ თვით სახელმწიფოთა ბაზარსაც ეპოტინება, როგორც, მაგალითად, საფრანგეთში, რუსეთში და ნაწილობრივ ინგლისშიაც. არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს, მაგალითად, ის მოვლენა, რომ ეკონომიურად რუსეთი გერმანიისაგან იყო დამოკიდებული და ეხლაც, ომის დროსაც კი სცდილობს თავი დაიხსნას ამ მდგომარეობიდან. თუ მედგრად გააცხოველა მოქმედება და განახორციელა ის საზოგადო მოსაზრებანი, რომელთაც ეხლა იმუშავებენ სამრეწველო და ათასი სხვა კრება, კიდევაც შეიძლება ასე მოხდეს, მაგრამ ეს პირველ დებულებას არ უარჰყოფს. მაშასადამე, რუსეთის და გერმანიის შეჯახება მხოლოდ ეკონომიურ ნიადაგზედ არა ხდება, არამედ უმთავრესად პოლიტიკურზედაც, ეროვნულ-რასიულ ბატონობისათვის.

მაგრამ, თუმცა ყველა ეს მიზეზები აშკარანი არიან, თუმცა ყოველი ნაბიჯი მსოფლიო ომისა ამ მიზეზებს ადასტურებს და მათ მიერ დასახულ მიზნებს განამტკიცებს,—ყოველი მებრძოლი თავის თავს ვალდებულად სთვლის სამართლიანობასა, კანონზედ და სხვა ამგვარ კარგ რამეებზედ სწეროს და ილაპარაკოს. რად ხდება ესეთი მსოფლიო სიყალბე? რატომ იმათაც კი, ვისაც ძალა შესწევს და მსოფლიოს ეპოტინება—არ შეუძლიანთ ახდილად ილაპარაკონ თავის ნამდვილ მტაცებელ სურვილებზედ, როცა ეს ყველასთვის ცხადია? იმიტომ რომ დღევანდელ ომს აწარმოებენ არა ცალკე პიროვნებანი, ან პოლიტიკური ჯგუფები, არამედ თვით ეროვნებანი მთელის თვის შემადგენლობით; საჭიროა დახარჯვა ერის ენერგიის მაქსიმუმისა; საჭიროა ამოძრავება სახელმწიფოს ყველა შემადგენელ ელემენტებისა, ხოლო ამისათვის საკმარისი არ არის მარტოოდენ სიმართლე. ომის ხელმძღვანელთ შეცდომაში ვერ შეიყვანს გაზეთების ჭრიალი სამართლიანობაზედ, ან თუნდ პოლიტიკურ მოღვაწეთა სიტყვიერი გამოსვლა-განცხადებანი,—იმათ კარგად იციან, რომ ეს სიტყვები **სხვისათვის** ითქმის და იწერება; მაგრამ ის ხალხის მასსა, რომელმაც თავის ამოძრავებით, თვისი ენტუზიაზმით უნდა შეჰქმნას დაუთრგუნველი ძალა—იმას სჯერა, რომ ინგლისი ბელგიის თავისუფლების და პატარა ერთა დამოუკიდებლობისათვის იბრძვის,—თუმცა ოფიციოზურმა „ტაიმს“-მა პირდაპირ განაცხადა, რომ ინგლისი სულ ერთია, ომში ჩაერეოდა ბელგიის ნეიტრალიტეტიც რომ არ დაერღვიათო,—რომ რუსეთი სლავიანურ ერთა ფეხზედ წამოყენებისათვის ხარჯავს თვის დაუშრეტელ სისხლსა და ენერგიას, რომ საფრანგეთი ელზასელ მომძმეთა თავისუფლებას შეჰხარის და გერმანია პოლონეთის, უკრაინის და სხვათა აღდგენას ესწრაფვის, რათა ამით რუსეთი დაასუსტოს. გულუბრყვილოებს ეს სჯერათ, უნდათ დაიჯერონ, რადგან—წინააღმდეგ შემთხვევაში—მამძრავებელი იმპულსი შესუსტდებოდა და სახელმწიფო მთელ თავის ძალას ვერ გამოიყენებდა. ამ გულუბრყვილოთა სიაში ჰყვებიან არა მარტო სახელმწიფოების უბრალო ქვეშევრდომნი, არამედ ის არასახელმწიფო ერებიც, რომელნიც ამა თუ იმ ფორმით შედიან სახელმწიფოს ფარგლებში. რადგან ყველაფერი პრაქტიკასა და ვარჯიშობაზეა დამოკიდებული, არასახელმწიფო ერები უფრო ადვილად ითვისებენ ყოველგვარ დაპირებასა

თუ რამდენად უახლოვდება ჰეშმარიტების აღმოჩენას ასეთი რწმენა—ამაზედ შემდეგ.

ომის დღიური

მიმოხილვა

ჩვენი გაზეთის შაბათის ნომერში ვწერდით, ნემან-ნარევ-ბუგ-ვისლის ნაპირებზე მცირე შეტაკებათა შესახებ: „თქმა არ უნდა, რომ ამ მცირე და მოზრდილ შეხლა-შეჯახებას მჭიდრო კავშირი აქვს გალიციისა და ლიუბლინ-ხოლმის პირზე განზრახულ ახალ ოპერაციასთან. ზემოთ, ბუგო-ნარევის ხაზსა და ვარშავის მიდამოებში გერმანელებს ჯერ-ჯერობით მიზნად აქვთ რუსის ჯარის თვალ-ყურის გდება, მუდმივი ზვერა, მისი ყურადღების მიპყრობა, ერთ ერთ ადგილზე მიკერება, რათა აქედან ჯარის ნაწილი გალიციაში არ გადაიყვანონ. ცხადია ისიც, რომ თავის დროზე გერმანელები ერთ ადგილას თავს მოუყრიან დიდ ჯარს, **საერთო იერიშით წამოვლენ** და ეცდებიან სადმე რუსის ჯარის გარღვევას და სამხრეთიდან ხოლმ-ბრესტისკენ მომავალ ჯართან მოქმედების შეთანხმებას“.

გუშინ-წინ მოსულ მთავარ შტაბის დეპეშიდან სჩანს, რომ გერმანელები მოქმედების შეთანხმებას ცდილობენ. 19 ივნისს გერმანელთა ჯარი მრავალის იერიშით წამოსულა ნემანის დასავლეთით, მდინარე შეშუპასა, ბობრსა, ვისლასა და პილიცას ნაპირებზე, და აგრეთვე ოსოვეცთან და რადომის მიდამოებში. ამავე დღეს წინა დღით დაწყებული დიდი ბრძოლა ნემანსა და ბუგს შუა, ხოლმ-ლიუბლინის სამხრეთით—მეტად გამწვავებულა. ერთ და იმავე დროს ყველგან გერმანელთა შემოტევა თითქო ადასტურებს ზემო გამოთქმულს ჩვენ აზრს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ძნელია იმის გამოცნობა, თუ რომელ ადგილას მოინდომებენ გერმანელები ჩრდილოეთის მიმართულებით მთავარ იერიშით წამოსვლას. წინანდებურად ცხადია მხოლოდ, რომ ამ ბრძოლის ბედი სწყდება მდინარე ვისლისა და ბუგის შუა. აქ 19 და 20 ივნისს მეტად სასტიკი და ცხარე ბრძოლა იყო კრასნოსტავის აღმოსავლეთით, ბიხალუს მიდამოებში, რომელიც მდებარეობს 20 ვერსის მანძილზე სამხრეთით ლიუბლინისა. არა ნაკლებ მკაცრი ბრძოლა ხდება უფრო აღმოსავლეთით, 10 ვერსის მანძილზე სამხრეთით კრასნოსტავისა და 30 ვერსის მანძილზე სამხრეთ-დასავლეთით ხოლმისა. ბრძოლის ბედი ჯერ არ გამორკვეულა, და არც დაიგვიანებს, რადგან ბრძოლა გაშლილ და გაუმაგრებელ ადგილებში ხდება. კვლავ ნახსენებია ჩვენი მესამე კორპუსი, რომელსაც ისევ თავი უსახელებია.

აღმოსავლეთ გალიციაში რუსის ჯარი ნელ-ნელა უკან იწევს. მას თავი მიუნებებია მდინარე გნილაია ლიპასთვის და წამოსულა ზოლოტაია ლიპას ნაპირებზე, რომელიც პირველზე უფრო ძლიერია და დაშორებულია მისგან ოცი ვერსით.

მ. ბ—ლი.

დეპეშები

თბილისი, 20 ივნისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან: 18 ივნისს ზღვის რაიონში სროლა გრძელდება. ჩვენს ნაღმოსანს სროლა ჰქონდა ოსმალთა არტილერიასთან. ოლთისის მიმართულებით ხარტყის სამხრეთით მტერმა იერიში განაახლა, მაგრამ უკუვაგდეთ. ყარადერბენტის რაიონში სოფელ ანდარკომის დასავლეთით ჩვენ დავიპყრეთ სამალლეები, ავბაზიკის სამხრეთით ოსმალები უკუვაგდეთ შარნან-დაგის ქედამდე. ზევანეას რაიონში სროლაა. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

თბილისი, 21 ივნისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. პასსინის ველზე სროლა გრძელდება. ყარადებენტის რაიონში რუსის ჯარმა დაიჭირა სოფელი ჯამბეკი. ვანის ტბის სამხრეთ ნაპირზე რუსის ჯარმა ღამის იერიშით განდევნა ოსმალონი თავიანთ პოზიციებიდან, ხიზან-სუ-ს მარცხენა ნაპირზე მტერი აიძულა უკან დაეხია. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

პეტროგრადი, 20 ივნისი, მთავარ სარდლის შტაბისაგან. 19 ივნისს კუნძულ გოტლანდიის მახლობლად ჩვენს კრეისერებს ბრძოლა ჰქონდათ გერმანელთა ხუთ კრეისერთან. ბრძოლას შედეგად მოჰყვა ერთ გერმანულ კრეისერის დაზიანება, რომელიც იძულებული იყო კუნძულის ნაპირებს ამოფაროდა, სხვები გაიქცნენ. 19 ივნისს ღამით და დღით შუა—ნემანის დასავლეთით მთელ ფრონტზე—მდინარე შეშუპისა, ოსოვეცთან და ვისლის მარჯვენა ნაპირზე სტაროჟედან პილიცის სამხრეთით და რადომის მიმართულებით მტერს იერიშები მოჰქონდა. ყველა იერიში მოვიგერიეთ, მხოლოდ კალვარიის რაიონში მტერმა ხელთ იგდო ჩვენი მოწინავე თხრილები.

19 ივნისს მდინარე პორზე და ზამოსტიეს ჩრდილოეთით სასტიკი ბრძოლა გრძელდებოდა. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

შავ ზღვაზე ერთმა ჩვენმა წყალქვეშა ნავმა ჩასძირა სამი გემი, ერთი დიდი იალქნიანი ხომალდი და რამდენიმე ნავი. გარდა ამისა, ჩვენმა ნაღმოსნებმა ყუმბარები დაუშინეს ზუნგულდაკს.

საზღვაო შტაბი იუწყება: ბალტიის ზღვაზე 19 ივნისს, ნაშუადღევის 3 საათზე, ინგლისის წყალქვეშა ნავმა ორის ნაღმით ააფეთქა გერმანელთა სამხედრო გემი „დეიშლანდის“ ტიპისა.

მიტავა, 19 ივნისი. შაველის მხრიდან გამოჩნდა გერმანელთა ჰაეროპლანი, მაგრამ ზარბაზნები დაუშინეს და ამის გამო ვინდავის მიმართულებით მიიმალა.

პეტროგრადი, 21 ივნისი. მთავარი შტაბის ოფიციალური მოხსენება. სახელმწიფო მოღალატის მიასოედოვის დასჯის შემდეგ გამოირკვა, რომ დამნაშავის უეკველი თანაზიარნი იყვნენ ბორის ფრედბერგი და შლიომა და არონა ზალცმანები. სამხედრო საველე სასამართლომ დახრჩობა მიუსაჯა მათ. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს ამა თვის 18-ში. რაც შეეხება დანარჩენ დამნაშავეთ, მათს შესახებ ჯერ კიდევ ცნობებს ჰკრებენ.

პეტროგრადი, 21 ივნისი. მთავარი შტაბის ოფიციალური მოხსენება. 19 ივნისს დანცბურგის ყურეში ინგლისელთა წყალქვეშამ ორი ნაღმით ააფეთქა გერმანელთა ხომალდი „ლოიჩლანდის“ ტიპისა. რუსთა ერთმა ნაღმოსანმა ჩასძირა გერმანელთა წყალქვეშა, რომელიც სცდილობდა რუსის გემებთან მოსვლას. წყალქვეშა წყალზემოდ არ ამოსულა. ნაღმოსანი სულ მცირეოდნად დაზიანდა.

შავლის რაონში ნემანის ჩრდილოეთით ბრძოლა არ მომხდარა. ედვაბნოს რაიონში სასტიკი ნაღმის ბრძოლაა. კუჩუსთან რუსის ჯარმა აღმოაჩინა საღაღმო გალერეია, სადაც 22 ფუთი დინამიტი იდო რუსთა პოზიციების ასაფეთქებლად. რადომის მიმართულებით რუსის ჯარები კერძო იერიშებზე გადავიდნენ და რამდენიმე ავსტრიელთა თხრილი დაიჭირეს. ბზურაზე, სოფელ სუხასთან რუსებმა ხელი შეუშალეს რომ გერმანელები მათ თხრილებთან მოსულიყვნენ. ვისლასა და ბუგის შუა 19—20 ივნისს სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა. მდ. ვიუნიცზე გერმანელთა იერიში შეჩერებულ იქმნა. გერმანელთა მთავარმა ძალებმა თავი მოიყარეს ქალაქ კრასნიკთან ბიხალუს მიმართულებით. აქ 20 ივ. რუსებმა მოიგერიეს იერიში, თუმცა შედეგი ჯერ გამოურკვეველია. გერმანელები ასევე სცდილობენ წინ წაწევას ზამოსტიეს მიმართულებით—კრასნოსტავისკენ, სადაც ყველაზე ძლიერი შეტაკებანი მოხდა საღამოთი 19 ივნ. და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილით 20 ივნ. ვოლჩიცავეპრჟის რაიონში, სოფელ ტარჟიმეხი—კრასნოე-სტრიევთან. აქ გერმანელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. სოფ. ტარჟიმეხი გერმანელებს 19 ივ. ჩაუვარდათ ხელში, ხოლო განთიადისას 20 ივნისს რუსებმა კვლავ დაიბრუნეს გენერალ ირმანოვის მამაცი პოლკების იერიშით. გნილაია ლიპასთან რუსებმა შეაჩერეს გერმანელთა ჯარები, ხოლო 21 ივნისს ღამით რუსებმა ზოლოტოი ლიპისკენ დაიხიეს. დნესტრზე ცვლილება არ მომხდარა.

რუმი, 20 ივნისი. ოფიციალური მოხსენება. მთელს ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

პეტროგრადი, 21 ივნისი. ერთი ჩვენი აპარატთაგანი „ილია მურომეცის“ ტიპისა 14 ივნისს გაემგზავრა სანის რაიონში და რამდენიმე დავალება სისწორით შეასრულა: 3 ყუმბარა ჩამოაგდეს გერმანელთა ბანაკში, შემდეგ პრჟევორსკში 7 ყუმბარა ჩამოაგდო, თვითეული ყუმბარა 1—5 ფუთს იწონიდა. ამ სადგურზე 5 მატარებელი იდგა. ერთ მატარებელს მოხვდა „ილია მურომცის“ ყუმბარა.

პეტროგრადი, 21 ივნისი. ავტორიტეტულ წყაროებიდან იუწყებიან, რომ 18 ივნისს კრეისერები „რიურიკი“, „მაკაროვი“, „ბაიანი“, „ბოგატირი“ და „ოლეგი“ ბალტიის სამხრეთ ნაწილიდან დაბრუნებმს დროს დილის 8 საათზე შეეჯახნენ გერმანელთა გემებს გოტლანდის კუნძულთან და კურლიანდიის ნაპირებთან. ერთი გემთაგანი სუმბუქ კრეისერ „აუგსბურგის“ ტიპისა იყო, მეორე გზის მღობარე კრეისერ „ალმატსოსის“ ტიპისა, დანარჩენნი ნაღმოსანთა ესკადრას შეადგენდა. რუსის გემებმა სწრაფად ბრძოლა აუტეხეს და შეეცადნენ, რომ გზა გადაეჭრათ მათთვის. საარტილერიო ბრძოლის დროს გერმანელთა ნაღმოსნებმა იერიში მოიტანეს, მაგრამ ძლიერი ცეცხლით ისევ უკან განდევნეს. მათგან გამონასროლი ნაღმები ასცდა რუსის გემებს. ძლიერი ბურუსი უშლიდა რუს გემებს გერმანელთა გემების მიზანში ამოღებას. მიუხედავად ამისა, ნახევარ საათის ბრძოლის შემდეგ „აუგსბურგის“ ტიპის კრეისერი ბურუსში გასცურდა და სამხრეთისაკენ მიიმალა. ნაღმოსნები ხელახლად შეეცადნენ იერიში მოეტანათ, მაგრამ დროზევე უკუქცეულ იქნენ. „ალაბისტროსს“ მალე აფრა მოემსხვრა. გერმანელებმა ბოლოს ფარდა შემოახვიეს, რომ ასე დაეფარათ იგი რუსთა ზარბაზნებისაგან. მალე გემმა დროშა ჩამოუშვა და ნაპირისაკენ გაემართა. მას გზა გადაუჭრეს რუსმა კრეისერებმა. იგი გაირიყა გოტლანდის კუნძულთან. დილის 10 საათზე რუსის გემებმა შენიშნეს რამდენიმე ბოლი და შემდეგ გერმანელთა ჯავშნოსანი კრეისერები „როონის“ (?) ტიპისა და სუმბუქი კრეისერი „აუგსბურგის“ ტიპისა და 4 ნაღმოსანი. რუსის გემები უმალვე შეებრძოლნენ. ბრძოლამ ნახევარ საათს გასტანა. ბოლოს გერმანელთა გემები იძულებული გახდნენ გაბრუნებულიყვნენ, ხოლო მათს წყალქვეშა ნავებს უშედეგოდ მოჰქონდათ იერიშები. მაშინ „რიურიკს“ ებრძანა დასდევნებოდა მათ. ხუთმეტი წუთის შემდეგ „რიურიკი“ ორს კრეისერს შეებრძოლა „როონის“ ტიპისას. „რიურიკის“ მარჯვე სროლამ მალე ჩაჩუმა „როონის“ ოთხი 8 დიუმიანი ზარბაზანი. რომ რისკი აღარ გაეწიათ, გერმანელთა გემები გატრიალდნენ და სწრაფად მიიმალნენ ბურუსში. „რიურიკზე“ იერიში მოიტანა წყალქვეშამ, მაგრამ ამაოდ. რუსის გემები სუმბუქად დაზიანდა. დახოცილები არა ჰყავთ. დაჭრილია 14 მეზღვაური. „რიურიკზე“ იერიშის მომტანი წყალქვეშა დაჰღუპა რუსის ნაღმოსანმა „ვნიმატელნიმ“. მაზე კონტრიერიში მოიტანეს. ამის შედეგი არ იციან. ძირზე დიდი განგრეული ადგილი აღმოაჩნდა, რაიცა ჰმოწმობს, რომ ძლიერ დასჯახებია იგი ნავს.

პარიზი, 19 ივნისი. დილის ოფიციალური ცნობა. ღამის განმავლობაში სამხრეთ ფრონტის უმეტეს ნაწილებში და განსაკუთრებით ვესტენის რაიონში, იპრის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, სუშესთან, ვერნეისთან და ენნის ჩრდილოეთით ძლიერი საარტილერიო ბრძოლა იყო. ხანგრძლივი და მკაცრი საარტილერიო ბრძოლის შემდეგ, ნაშუადღევის ორ საათზე მტრის ჯარმა იერიში მოიტანა აბლენ-ანგრის გზით მდებაზე პოზიციებზე, მაგრამ უნაყოფოდ. ლავუაზელის მახლობლად ერთმა ჩვენმა ნაღმმა მტრის სიმაღლე გაანადგურა, არგონში მთელი ღამე სასტიკი ბლძოლა გრძელდებოდა. მტრის იერიში, რომლის დროს გერმანელები მოშხამულ ბოლს ხმარობდნენ, მოვიგერიეთ. ლეპრეტრის ტყის დასავლეთით მტერი ცდილობდა იერიშის მოტანას, მაგრამ უკუვაგდეთ.

საღამოს ოფიციალური ცნობა. მთელ ფრონტზე იზერიდან-არგონამდე საარტილერიო ბრძოლა ხდებოდა. არგონში, ბინერვილე და ბრანლეის შუა, სასტიკ საარტილერიო ბრძოლის შემდეგ, მტერს უნდოდა დილით იერიშის მოტანა. მეტად სასტიკ ბრძოლის შემდეგ, როცა ხშირად ხელჩართული ბრძოლაც ხდებოდა, ჩვენ შევინარჩუნეთ ყველა პოზიციები. გუმინ საღამოს გერმანელებმა რამდენიმე იერიშები მოიტანეს ჩვენ სიმაგრეებზე; ყველა მათგანი მოგერიებულ იქმნა, მხოლოდ უკანასკნელ იერიშით მათ ხელთ იგდეს ჩვენი პოზიციები. დილით კონტრიერიშით ჩვენ დავიბრუნეთ დაკარგული პოზიციები.

დარდანელში, ინგლისელთა გამარჯვების შემდეგ, 15 ივნისს ოსმალებმა სცადეს რამდენჯერმე მედგარ იერიშის მოტანა, მაგრამ დიდის ზარალით უკუგდებულ იქმნენ. 17 ივნისს ხელთ იგდეს მტრის სიმაგრეები, რომელიც წარმოადგენდა ოთხკუთხედს ექვსი თხრილით.

სტოკჰოლმი, 19 ივნისი. შვეციის კონტრ-ნაღმოსანთა ერთი რაზმი გაემგზავრა კუნძულ გოტლანდის აღმოსავლეთ ნაპირებისკენ.

ლონდონი, 19 ივნისი. გასულ ღამით აღმოსავლეთ ნაპირებზე წყალქვეშა ნავის ნაღმით დაზიანდა ნაღმოსანი „ლაიტნინგ“-ი. დღეს ნაღმოსანი ნავთსადგურში იმყოფება. მეზღვაურებიდან უკვალოდ დაიკარგა 14 კაცი. ნაღმოსანი ძველი ტიპის გემია. აშენებულია 1893წ.

ლონდონი, 19 ივნისი. პარსბორიდან ნიუპორტს მიმავალი ბრიტანიის გემი ბროულეს მახლობლად ჩასძირა გერმანელთა წყალქვეშა ნავმა. მეზღვაურებიდან გადაარჩინეს 9 კაცი.

ათინა, 19 ივნისი. ტენედოსიდან იუწყებიან, რომ გალიპოლის კუნძულზე ბრძოლა განახლდა საშინელის სისასტიკით. სრუტის ფორტებს ხუთი ნაღმოსანი უშენს ზარბაზნებს, კსეროსის მხრივ —3 სხვა გემი. მოკავშირეთა ჯარი იერიშით მივიდა და დაიჭირა ოსმალთა თხრილები, რომლებიც სავსე იყო ოსმალთა გვამებით.

სტოკჰოლმი, 19 ივნისი. ინგლის-შვეციის კომისიის სხდომები გაიხსნა დღეს. გარეშე საქმეთა მინისტრმა ოფიციალური სიტყა წარმოსთქვა. მას პასუხი გასცა ინგლისის ელჩმა.

ათინა, 20 ივნისი. მოკავშირენი მთელ გალიპოლის ფრონტზეწინ მიიწევენ. მტრის თხრილების პირველი რიგი მოკავშირეებმა ხელთ იგდეს.

საბერძნეთის მთავრობა 28 ივნისს მოიწვევს ყველა სამხედრო ბეგრიდგან განთავისუფლებულებსაც.

სოლუნი, 21 ივნისი. გუშინ გერმანიის წყალქვეშა მუდროსის ყურეში შესვლას ცდილობდა, რომ იერიში მიეტანა ინგლისის ჯავშნოსანზე, მაგრამ შემჩნეულ იქმნა ბრიტანიის ნაღმოსნებისაგან და მიიმალა.

ნიუ-იორკი, 21 ივნისი. 20 ივნისს, ვიღაც უცნობმა, როგორც ეტყობა გერმანელმა, რევოლვერით დასჭრა მკერდში და ხელში ამერიკელი მილიარდერი მორგანი. ბოროტ-განმზრახველმა განაცხადა, რომ მას სურდა მორგანის დიდი გავლენით ესარგებლა ზავის ჩამოსაგდებად.

სოლუნი, 21 ივნისი. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ რუმინიის მთავრობამ გერმანიდან ოსმალეთში მიმავალი 70 ვაგონი სამხედრო სურსათი დაიჭირა.

ლონდონი, 21 ივნისი. ბელგიის გემი „ბოდუნია“ გერმანიის წყალქვეშამ ჩასძირა ოცილის მახლობლად. მეზღვაურებიდან 18 კაცი ფოლგუტში გადმოსხეს.

სოლუნი, 21 ივნისი, დედეაგაჩიდან იუწყებიან 19 ივნისს, რომ გუშინ ინგლისის კრეისერმა დაათვალიერა ნავთსადგურზედ მდგომი გემებიო.

ნიუ-იორკი, 21 ივნისი. დამნაშავე მორგანის დაჭრისა აღმოჩნდა გერმანელი ფრანკ-გოლტი, კორნელის უნივერსიტეტის გერმანულ ენის პროფესორი.

ვაშინგტონი, 21 ივნისი. შუაღამეს კაპიტოლიაში აფეთქება მოხდა, რომელმაც შესამჩნევი ზიანი მიაყენა შენობის იმ ნაწილს, სადაც სენატის კრებები ინიშნებოდა. აფეთქების მიზეზი ყუმბარაა.

ნიუ-იორკი, 21 ივნისი. გოლტი გამოტყდა, რომ კაპიტოლიის აფეთქებაც მისი საქმეა.

პეტროგრადი, 20 ივნისი, გამოქვეყნებულია უწმიდეს სინოდის დადგენილება, 8 ივლისს ყველგან მოხდეს ლიტანია და ლიცვა-პარაკლისები ,რომ მიენიჭოს ქრისტესმოყვარულ რუსის მხედრობას გამარჯება.

პარიზი, 20 ივნისი. დილის ოფიციალური ცნობა. არგონებში მთელი ღამე სასტიკი ბროლა გრძელდებოდა. ჩვენ შევინარჩუნეთ პოზიციები და დიდი ზარალი მივაყენეთ მტერს. მეტცერალის მიდამოებში ჩვენ პოზიციებზე მიმართული ორი იერიში მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე სასტიკი ბრძოლაა. არასში მტრის გამოსროლილ ყუმბარამ ცეცხლი გააჩინა, მაგრამ უმალვე ჩავაქვრეთ. ჩვენმა ავიატორებმა ყუმბარები დაუშინეს როგორც ცარეკენის და ლანგემარეის რკინის გზის სადგურებს, ისე ვიმის და ბორენეს მტრის ბატარეიას.

ლონდონი, 20 ივნისი. დარდანელში სამხედრო მოქმედების ოფიციალური ცნობა. 16 ივნისს აჩიბაძის ჩრდილოეთით მტრის რაზმი გადავიდა ოსმალთა მარჯვენა წვერისკენ. საშინელ სროლის შემდეგ მტერი ცდილობდა ხიშტებით იერიშის მოტანას, მაგრამ მოვიგერიეთ და დიდი ზიანიც მივაყენეთ. სამხრეთ ფრონტზედაც ოსმალნი შეეცადნენ იერიშის მოტანას. კრეისერმა „ვოლვერენ“-მა პროჟექტორის საშვალებით შეამჩნია მტრის მოძრაობა და ოსმალთა მთავარ ძალას ზარბაზნები დაუშინა და ამით დიდი ზიანი მივაყენეთ მათ. აღმოსავლეთით იერიშმა უფრო სერიოზული ხასიათი მიიღო. საარტილერიო სროლით მტერი ჩვენ პარაპეტიდან 40 იარდის მანძილზე შევაჩერეთ. 6 საათზე და 30 წუთზე ფრანგებმა გაილაშქრეს და რვის ნახევარზე მტრის სიმაგრეები ხელთ იგდეს. ოსმალთა ჯარის დიდი ნაწილი ფრანგების არტილერიამ გააქცია. მტერს დიდი ზიანი მოუვიდა.

პარიზი, 20 ივნისი. სალამოს ოფიციალური ცნობა. მთელი დღე მტერი საარტილერიო ბრძოლას აძლიერებდა. ნევილის, ეკრიუს, როკლენკურის ფრონტზე ჩვენ არტილერიითვე ვუპასუხებთ მტრის თხრილებს. ენის მარჯვენა ნაპირზე, სუპარის, ტრო-ტრუაონის რაიონში და შამპანიაში პერტას ფრონტზე ნაღმებით ბრძოლაა. არგონებში უკანასკნელ მტრის დაზიანების შემდეგ შედარებით სიწყნარეა. მაასის მარჯვენა ნაპირზე კოლონის მახლობლად და ლაბასის ფრონტზე საარტილერიო ბრძოლაა.

ქრისტიანია, 20 ივნისი. ნორვეგიის სატელეგრაფო საგენტო იუწყება, რომ ოთხშაბათს დილით ქრისტიანიიდან მოვიდა ნორვეგიის მთავრობისაგან დაქირავებული სპილენძით და ცინკით დატვირთული ვაგონი. ოთხი დღით ადრე მოსულმა ოთხმა გერმანელმა ცინკი სხვა გერმანელების ვაგონში გადააწყვეს და ლიუბეკში გადაგზავნეს. გადაბარგების დროს სპილენძი სადღაც დაიკარგა. სადგურის უფროსმა გერმანელების ვაგონი გაჩხრიკა და სპილენძი იქ აღმოჩნდა. ორი ვაგონი შეიპყრეს და ქრისტიანიაში გაგზავნეს, სადაც გამოირკვა, რომ ვაგონის კედლები ორმაგად იყო გაკეთებული. შიგ სპილენძი ჩაეწყოთ. ქრისტიანიაში ორი გერმანელი შეიპყრეს. პოლიცია არავათარ ჩვენებას არ იძლევა. არც უარყოფს მომხდარ ფაქტს და არც ადასტურებს.

მალმე, 20 ივნისი. ცოცხალ საქონლის და ხორცის გამოტანა სამხრეთ—ადმინისტრატიულ მხრიდან მთავრობის მოთხოვნით ნახევრად შემცირებულია. წარსულ კვირიღან 825,000 კილოგრამის შაშხის და 1000 ცოცხალი საქონლის გამოტანა დაიწყეს.

პარიზი, 20 ივნისი. იმ დროს, როდესაც გენერალი გურო დაჭრილთა ადგილს ათვალიერებდა, ყუმბარისგან დაჭრილ იქმნა. მისი ჭრილობა საშიში არ არის. დროებით ჯარის უფროსობა გენერალმა ბაიუმ ჩაიბარა.

სტოკჰოლმი. კორესპონდენტთან საუბრის დროს გერმანიის საიმპერიო ფინანსთა მინისტრმა ჰელფერინმა განაცხადა, რომ გერმანიამ ორივე საომარ სესხიდან ცამეტ მილიარდ ნახევარი აიღოო. გერმანიას აზრად აქვს მომავალი მოთხოვნილება 5 პროც. საომარ სესხით დაჰფაროს.

ბერლინში მცხოვრებთ ჩამოართვეს ქიმიური მასალა, რითაც ამაფეთქებელ ნივთიერების შეზავება შეიძლება.

პარიზი. „პტიჟურნალი“ იუწყება: გერმანელები დამტვრეულ შუშას და ბოთლის ნატეხებს ვაგონებით საფრანგეთის ფრონტზე მიეზიდებიან, რათა ბრძოლის ველზე გაფანტონ და მით მოწინააღმდეგის ლაშქარს და ცხენოსნებს დაბრკოლება აღმოუჩინონ.

ლონდონი, 20 ივნისი. ჯარის შესაიარაღებლად კანონ-პროექტი—ბილლი მიღებულ იქმნა და დაკანონდა. ბილლის განხილვის დროს ლორდმა კერზონმა განაცხადა: ხალხმა გაიგო ომის ვითარება და ხასიათი, რომელშიაც იგი ჩათრეულია და მცირეოდენი რყევაც არ გამოუჩენია, ომის გაგრძელების უღელი დასასრულამდე სწიოს. დამტკიცებულია, რომ მოკავშირეთა ძალა თანდათან იზრდება, ხოლო ძალა მოწინააღმდეგისა სუსტდება. წლის ბოლოს უპირატესობა ხალხისა და სანოვაგისა მოკავშირეების მხარეს იქმნება: ბილლი არა თუ ინგლისის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, არამედ საშუალებას მოგვცემს უფრო ფართოდ, ვიდრე ეხლა არის, დავეხმაროთ რომელსამე მოკავშირეს. კერზონმა განაცხადა, რომ 46,000 კაცი მოხალისედ ჩაეწერა, რათა პირველსავე კვირას საომარ მასალის მზადებას შეუდგესო.

ქურნალ-გაზეთებიდან

ფრანგ მეცნიერთა თავგანწირულება.

„ეკო დეპარი“-ში მოთავსებულია ცნობა, რომ გენერალმა ჟოფრმა სამხედრო მედლისთვის წარადგინა ქიმიის პროფესორი მატინიონი. მატინიონმა დიდი გმირობა და თავგანწირულება გამოიჩინა ნევილთან ბრძოლის დროს. როდესაც გერმანელებმა პირველად დაიწყეს შხამიან ბოლის ხმარება ფრანგების წინააღმდეგ, პროფესორებმა მატინიონმა და ლაბორანტმა პერიემ უმალვე გასწიეს მოწინავე პოზიციებისაკენ. როდესაც ფრანგთა ქვეითა ჯარი იერიშით მიდიოდა მტრის წინააღმდეგ, მატინიონი და პერიეც ჩაერივნენ ამ იერიშში, რასაკვირველია, არა თოფებით, არამედ განსაუკთრებულ იარაღებით, რომლითაც ბოლი უნდა დაეჭირათ. მოიერიშე ფრანგების წინააღმდეგ გერმანელებმა ისევ შხამიან ბოლს მიჰმართეს, ქიმიკოსები კი ამ დროს შეუდგნენ თავიანთ მუშაობას. ბრძოლის ველიდან მხოლოდ მატინიონი დაბრუნდა. პერიე კი ბრძოლის ველზე მოჰკლეს. პროფესორმა გამოიკვლია შხამიან ბოლის შემადგენლობა და შემდეგ მის წინააღმდეგ საბრძოლველი საშვალებაც გამოიგონა. სორბონის საბჭომ დაადგინა, დიუმას ამფიტეატრი შეამკოს ქიმიკოს პერიეს ბრონზის ბიუსტით. ფრანგის მხედრობა დიდის მოწიწებით იგონებს ორივე მეცნიერს, რომელნიც უშიშრად, სრულიად უიარაღოდ მედგრად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. საფრანგეთს სრული უფლება აქვს იამაყოს თავის მეცნიერების ასეთ წარმომადგენლებით.

რეიმსი და გერმანია.

პოლიციამ გააფრთხილა მცხოვრებნი, რომ შესაძლოა გერმანიამ ზარბაზნები დაუშინოს რეიმსს. როგორც „Bag“ იუწყება, პოლიციამ ალბად იცოდა, რომ ფრანგ ავიატორებმა კარლსრუეში ყუმბარები ჩამოყარეს და ისიც გაახსენდა, რომ გერმანელები დაემუქრენ საფრანგეთს, თუ რომელიმე დაუცველ ქალაქში ფრანგებმა ყუმბარები ჩამოყარეს, სამაგიეროს რეიმსს გადავუხდითო.

გერმანელთა ცნობის უარყოფა.

„ფიგარო“-ში ვკითხულობთ: საფრანგეთის მთავარი ბინა უარყოფს გერმანელთა უკანასკნელ ოფიციალურ ცნობას, ვითომც მათ (გერმანელებს) გაემარჯვოთ დასავლეთის ბრძოლის პირზე არრასის ჩრდილოეთით მაასისა და მოზერის შუა.

საფრანგეთის ზომები.

„ფიგაროს“ უკანასკნელ ნომერში ვკითხულობთ: ფრანგმა ავიატორებმა ბადენში 130 ყუმბარა ჩამოაგდესო. ასეთი მოქმედება ფრანგები მხრით ერთგვარი პროტესტია, რომ გერმანელებს იმავე საშუალებით ებრძოლონ, როგორსაც ისინი ხმარობენ. ამ საკითხს Lagasette de Lausanne“-ში უპასუხებს: ვის შეუძლიან საფრანგეთის გამტყუნება, რომ ის ყუმბარები მოიხმაროსო, რასაც მისი ქიმიკოსები მოუმზადებენო. ამ ომში ყოველგვარი კანონი და უფლება გადალახულია. აღარ არსებობს ნეიტრალობა, აღარ არსებობს ჰუმანიზმი. მაშ რით გავამტყუნებთ საფრანგეთს, თუნდაც იგი ჰაგის კონფერენციას არ დაემორჩილოს? გერმანელების მიერ მოშხამულ გაზების ხმარების შემდეგ საფრანგეთმა გადასწყვიტა, აღადგინოს უძველესი კანონი შურისძიებისა: „ბილო ბილისა და თვალი თვალისა“.

„ფიგარო“-ში ვკითხულობთ, რომ გერმანიის გეგმაში შედის ჰოლანდიის ანექსია, რადგანაც ბელგია უჭოლანდიოთ დიდ რამეს არ წარმოადგენსო. გარდა ამისა, ბავარიის მეფეს გარკვევით უთქვამს, რომ ჰოლანდიის ანექსია აუცილებელიაო. ამის შემდეგ გაზეთს უკვირს ჰოლანდიის ქცევა, რომ ის კონტრაბანდს აწვდის გერმანიასაო: ნუ თუ ეხლა მაინც თვალსაჩინო არ არის ჰოლანდიისთვის გერმანიის წადილი, ნუ თუ მისი კომერსანტები დაკმაყოფილდებიან იმ ჯილდოთი, რასაც დღეს ღებულობენ კონტრაბანდისთვის, თუ გერმანიამ თავისი გეგმა განახორციელაო.

ლიუბლინის გუბერნიაში.

„ვარშავ. დენ.“ იუწყება: ლიუბლინის გუბერნატორის განცხადებას შესახებ მამაკაცთა სავალდებულო გასვლისა, ჯარის გასვლის უმალვე რომ მტერს შეძლება არ მიეცეს ისარგებლოს მით, დაემატა შემდეგი სიტყვები: „ზემო ნათქვამი დღეს-დღეობით არ შეეხება არც ერთ ადგილს გუბერნიისას და განსაკუთრებით ქალაქ ლიუბლინს. თუ გარემოებამ მოითხოვა, მცხოვრებნი წინდაწინ გაფრთხილებულ იქმნებიან.

„ლიუბ. გუბერს. ვედ.“-ში ლიუბლინის გუბერნატორი აცხადებს: „გავიგე, რომ გერმანიაში ზოგიერთი ბოროტი პირი ყალბ ცნობებს ავრცელებს წარსულ სამხედრო მოქმედების შესახებ და მით სურს შიში და შფოთი დაბადოს საზოგადოებაში. მოვუწოდებ მცხოვრებთ, ყურადღებას ნუ მიაქცევენ მზგავს ჭორებს და შეინარჩუნონ სიმშვიდე.

სამხედრო სამართალში მიცემა.

ბათომიდან „რუსკ. ვედომ.“ ატყობინებენ, რომ ართვინსა და მის მიდამოებში სიმკაცრის და სიმხეცის ჩამდენნი ხალი-ბეი და ახილ-ბეი ენვერ-ბეის განკარგულებით სამხედრო სამართალში მისცეს და დახვრიტეს.

წყალქვეშა U 51.

„ინდ. სოუმ.“-ს მოჰყავს სტამბულელ კორესპონდენტისა და კაპიტან ჰერსინგის საუბარი. ჰერსინგი გერმანელთა წყალქვეშა U 51-ს კამანდირია. მან დაღუპა კრეისერი „Pathfinder“-ი, ხუთი სავაჭრო გემი და ბოლოს დარდანელთან ააფეთქა ინგლისელთა ორი ჯავშნოსანი „ტრიუმფი“ და „მაჟესტიკი“.

„ჩვენაო,—უთქვამს კაპიტანს,—ვილჰელმსჰაფენი დავსტოვეთ 25 აპრილს, ხოლო 15 მაისს უკვე დარდანელთან გავჩნდით. გიბრალტარის ყელი გავიარეთ ღამით, წყალს ზემოდან. როდესაც ინგლისელთა კონტრ-ნაღმოსანი შევამჩნიეთ, ჩვენ ჩავიყურყუმელავეთ და სრულიად შეუმჩნევლივ გავიარეთ მთელი ყურეო.

ბალტიის მხარეში.

დაბა ა—სთან გერმანელთა ჰაეროპლანმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო. ლიბაველ ნარდად მოვაჭრეებმა ამბავი მოიტანეს, რომ გერმანელებს მათთვის 28 მილიონ მან. საქონელი წაურთმევიათ. ამ უკანასკნელ ხანებში გერმანელებს გააქვთ ხე-ტყის აუარებელი მასალა. ტყის პიტროონთა ზარალი ჯერ-ჯერობით 15 მილიონ მანეთს აღემატება.

რამდენი კაცი დაჭკარგა გერმანიამ.

„Berher Tagwacht“-ში აღნუსხულია ათი თვის განმავლობაში გერმანიის დანაკლისი. ოფიციალურ წყაროებიდან სჩანს, რომ გერმანიას რვა თვის განმავლობაში მოუკლეს 338,891 კაცი, უგზოუკვლოდ დაეკარგა 60 ათასი კაცი. ივნისის ბოლომდე დახოცილთა რიცხვი 500 ათას კაცამდე აღწევდა, ხოლო მაისის პირველ რიცხვებამდე დაჭრილთა რიცხვი უდრიდა 933,438 კაცს. ათი თვის ბრძოლის შემდეგ მათი რიცხვი მილიონს უდრის. რვა თვის განმავლობაში გერმანიის მომქმედ ჯარს გამოაკლდა 1,487,061 კაცი; ასე რომ მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ წაყვანილთა ყოველ-დღიური რიცხვი უდრის 7 ათასს.

ავსტრიელთა 42 სანტიმეტრიანი ზარბაზნები.

„Daily News“-ის ვარშაველი კორესპოდენტი საინტერესო ცნობებს იძლევა ავსტრიის 42 სანტიმეტრიან ზარბაზნების შესახებ, რომლებსაც „სკოდი“-ს ქარხანა ამზადებს. კორესპოდენტის მიერ შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, რომ ამ ზარბაზანთა გამანადგურებელი ძალა უფრო ინტენსიურია, ვიდრე „კრუპის“ ზარბაზნებისა. ავსტრიის ზარბაზნები გაუბიცე-

...ად, კრუპისა კი მარტირები. მათი მზგავ-...ება მხოლოდ დიამეტრის სიდიდით გა-...ასხვავდება. გერმანიის ზარბაზანს „ბერტას“ უწოდებენ, (სახელი ბერტა ...ოპისა, რომელიც ქარხნის პატრონად ...ითვლება), ავსტრიელთა ზარბაზანს „ბალზენერს“ უწოდებენ.

ტრიესტში იტალიანელთა დარბევა.

...ამას წინად მილანში ავსტრო-გერმა-...ელთა დარბევა მოხდა. ამის საპასუ-...ოთ, როგორც „ბირჟ. ვედომ“. ატყობი-...ებენ, ტრიესტში იტალიელთა დარბე-...ულ უპასუხეს. კორესპონდენტი ასე ...ერს ამ დარბევას: 240 ათას მცხო-...ებიდან, ქალაქში დღეს მხოლოდ 100 ...ასია, დანარჩენი ნაწილი, განსაკუთრე-...ით იტალიელები, ომის გამოცხადების ...ისთვე გაიპარა. ტრიესტში მეფის მო-...ელემ ბრძანება გასცა, ქალაქი იტა-...ელებისაგან გაეწმინდათ. 10000 კა-...ცისაგან შემდგარი ბრბო მეფის მოა-...ელის სასახლის წინ დემონსტრაციის ...�დეგ მოედო იტალიელთა რესტორა-...ს, ყავახანებს და დაიწყო განადგუ-...ება. უყურადღებოდ არც სკოლები და ...ბიბლიოთეკები დაუტოვებიათ. ბრბო განსა-...კრებითი სისასტიკეს იჩენდა იტალი-...ურ გაზეთ „N Pricolo“-ს რედაქციაში. ...ბრბევა მთელი ღამე გრძელდებოდა— ...ტრიელი „პატრიოტები“ მხოლოდ ...ღამით დამშვიდდნენ, როდესაც ქუჩაში ...ავურები და შეიარაღებული ჯარი ...ამოჩნდა. მას შემდეგ ტრიესტში სიჩუ-...ე ბოლოს შეადგინეს მუნიციპალური ...ია, რომელიც დიდის უფლებებით ...ს აღჭურვილი. სახალხო სკოლები და ...ნიური სასწავლებლები ომის განცხადებაში დახურული იქნება.

უსახელო წერილები.

„რუსკი ინვალიდი“ სწერს: „ჩვენ ვღებულობთ ანონიმურ წერილებს, სადაც ...საყვედურებენ თითქოს ფაქტებს მუ-...ად ჩვენდა სასარგებლოდ ვხსნიდეთ. ...ამასთანავე გვთხოვენ ნუ გავწევთ პირ-...ნეობას და საჯაროდ გამოვაცხადოთ ...ად დავმარცხდითო. ჩვენ კი ვიტყვით, ...ად მათი სურვილის დაკმაყოფილება ...ა შეგვიძლიან, რადგანაც ნამდვილ ...ელწრფელად ვაღიარებთ, რომ გალი-...ას გაწმენდა დამარცხებას არ ნიშნავ-...ს. კოალიციონური გეგმები მოითხოვდა ...ეცებული მოწინააღმდეგე გამოგვყო-...და და მეცნიერების ასეთ მოთხოვნი-...ის შესრულება შეუძლებელი იყო ...ტორიის დაუთმობლად. მტერს ...და საფრანგეთის ფრონტის შესუსტე-...ა გალიციაში ჩვენ დავემარცხებინეთ. ...ფიქრობდა, რომ გალიციაში ჩვენ ...ედრო-სასიცოცხლო ომს გავსწევდით, ...ა შიშით რომ არ შევსუსტებულვიყა-...�არშავის და კურლიანდიის წინააღ-...ბ. მაგრამ ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ...ა თავიდან ავიცდინეთ და დავთმეთ ...ია, რომლის დაბრუნება ისე სწყუ-...ან მათ. გალიცია, როგორც ყოველ-...ი ტერიტორია, მხოლოდ ბეწვია, ...ი ბეწვი, რაზედაც იტყვიან ხოლმე: ...ემ არ უნდა იგლოვოს ბეწვი, თუ ...ა კუდი“ ე. ი. არმია.

ორი ჯაშუში

...ერმანელებს ადრევე კარგადა ჰქონ-...ა გათვალისწინებული, თუ რა დიადი ...ბენელობა ექნებოდა მომავალ მსოფ-...ლიო ომისათვის სამხედრო ჯაშუშობას. ...ნ ხარჯავდნენ არა მარტო აუარე-...ულს და შრომას, რომ მოპირდა-...ულ ყოველივე სამხედრო საიდუმლოე-...ებისგოთ, მის ძალებს და მდგომარეო-...ებასცნობოდნენ, მათ სამხედრო ჯა-...ს სამშობლოს გმირად იცნეს, რაინ-...ასელი უძღვნეს და ზნეობრივად ...ასრულიად სპეტაკად აღიარეს. სამ-...ო ჯაშუში გმირია, სამშობლოსათ-...ვის დადებული, იგი ისევე იბრძვის ...ს მამულისთვის, როგორც სარდალი ...ებრალო ჯარისკაცი ბრძოლის ველ-...ი. აი რატომ არის, რომ გერმანელი, ...ა კი გინდა იყოს იგი, თავის მდგო-...ბით უარს არ ამბობს ჯაშუშობა-...ზე კი მას გამჭრიახობა, ხერხი და ...ა ხელს უწყობს ამგვარ ასპარეზი-...ს.

...მაგალითად, რას ამბობს „რ. ვ.“ ...შრომელი ამ ორ ჯაშუშზედ, რო-...ც ამ ცოტა ხანში ინგლისელებს ...ეჭენიათ თავის მიწა-წყალზედ.

...0 წლ. დამლევს ფრანკფურტიდან ...ულა ლონდონში ვიღაც გერმანელი ...რომელსაც ერთს მთავარ ლონ-...ს უბანში გაუხსნია „სილამაზის ...ა“. საზოგადოთ ეს იმგვარი და-...წესებულებაა, სადაც ხანში შესული ქა-ლები და კაცებიც კი ახალგაზდობის ნექტარს ეძებენ. ბერტა ტროსტს საუ-ცხოვოდ მოურთავს თავისი სტუდია და ცდილობდა თურმე ყოველ საშუალებით მიეზიდნა ცნობილნი ინგლისელები. რო-გორც მისი სახლის მორთულობა, ისევე თვითონ მოგაგონებდათ თურმე ბრწყინ-ვალე 18 საუკუნეს. მას თურმე ყველა ინგლისელი იცნობდა, როგორც „ლედი ბეტსი“, მცოდნეს მასთანვე როგორც „თეოსოფიისა“, ისევე „ოკულტიზმისა“. მასვე ჰყოლია მთელი შტატი ახალგაზდა „ასსისტენტებისა“, რომელნიც უმეტე-სად ღებულობდნენ მამაკაცებს; მათ ეს ახალგაზდა ქალები ზელავდნენ და აბა-ნავებდნენ.

როდესაც ომი დაიწყო, „ლედი ბეტ-სი-“ც ახმაურდა: სწირავდა და აგრო-ვებდა აუარებელ ფულს, უკეთებდა მშვენიერ სადილებს დაჭრილ აფიცრო-ბას. თავისი საუცხოვო ეტლები დაჭ-რილ ჯარისკაცებისთვის გადასცა, რო-მელშიაც მათ ასეირნებდნენ ლონდონის ქუჩებში.

უცბად ბერტა შეიპყრეს, იგი აღმო-ჩნდა ჯაშუში. კორესპონდენტი ამბობს, ბერტა იმდენად საუცხოვოდ ლაპარა-კობდა თურმე ინგლისურ ენაზედ, რომ ძნელად თუ ვინმე შეამჩნევდა მასში უცხოელს.

მეორე ჯაშუში უფრო საინტერესო ტიპისა სჩანს. ამ ოცი წლის წინად კანა-დაში ჩამოსულა ვიღაც ივნატი ტრიბიჩი, კათოლიკი რჯულით, მას მიუღია პრეს-ვიტერიანობა და მღვდლად კურთხეულა. ვინ იყო იგი ჩამომავლობით, არავინ იცის. ათი წლის შემდეგ ტრიბიჩი ჩა-მოსულა ლონდონში, სადაც მისთვის მღვდლის ალაგი მიუციათ. ლონდონი-დან იორკში გადასულა. აქ მას ერთ მილიონერის საშუალებით გაუცვნია ლი-ბერალების პარტიის ცნობილი ლიდერე-ბი და მათაც, როგორც ჭკვიანი და გა-მჭრიახი კაცი, მალე დარლინგტონიდან დეპუტატად გაუყვანიათ დეპუტატთა პალატაში. ტრიბიჩი საშინელი ფულის მოყვარული კაცი ყოფილა. მას ერთ თვეში ბირჟაზედ 20,000 ქ. სტ. მოუ-გია. პარლამენტში 10 თვე დაჰყო ხოლ-მე; ლიბერალებმა, როგორც ფლიდი და ორპირი კაცი, მალე თავიდან მოიშორეს. ომის დროს მას ცენზორობაც კი მის-ცეს.

ბოლოს აღმოჩნდა,რომ ტრიბიჩი—ლინ-კელინი გერმანელების ჯაშუში ყოფილა. მან მალე შეიტყო თავისი. თავის გამომ-ჟღავნება და მოასწრო ამერიკაში გაპარ-ვა. ახლა ამერიკულ გაზეთებში იბეჭდება მისი „აღსარება“: „ინგლისელებისადმი სიძულვილმა მაიძულა შური მეძიაო“, ამბობს ტრიბიჩი. როგორც ჯაშუში, მას ორი დღით ადრე შეეტყო, რომ ინ-გლისელები თავის ფლოტს გელგოლან-დის ნავთ-სადგურში ჰგზავნიდა. ეს ცნო-ბა მას თურმე უკვე გადაეცა გერმანე-ლებისთვის. (რ. კ.)

ომის სურათები

... მშვენიერი ზაფხულია. თბილა. ნა-თელი დღე სამხიარულოდ გიწევთ გულს. მწვანით მოქარგული მდელო ყვავილე-ბით გეკეკლუცებიან... ჩვენს მარჯვნივ კარპატებია. ულრან ტყით მოსილ მთის კალთებზე აქა-იქ დაქანებულია ოქროს ფრად მბზინავი ყანები.

დაბლა კი, აქა-იქ უღელტეხილებში, დაუსრულებელი ფუსფუსით მოედინე-ბიან ჯარისკაცები, სამხედრო საბარ-გულები, ცხენები...

გზა და გზა შორს, რამდენიმე ვერსის იქით, უეცრივ მოჰკრავთ თვალს ხან თეთრად, ხან თითქოს ყომრალ ფერით მოქარგულ მინდვრებს. დააკვირდებით და შეჰნიშნავთ, თითქოს რაღაცა ფუსფუსებს. მიხვალთ ახლოს და მხოლოდ მაშინ შეჰ-ნიშნავთ, რომ ეს ბურუსი კი არ არის, არამედ ხალხი, ათასი... ათი ათასი ჯა-რისკაცი... სიცხე-პაპანაქებას მოუთუთ-ქია... დასასვენებლად დაწოლილან... ზოგი პირდაპირ წაგდებულა, თავი აღარ აქვს მოძრაოაისა, მხოლოდ ჩექმები გა-უხდიათ და თავქვეშ თოფრაკი ამოუ-დვიათ. ზოგი კი სულ გაშიშვლე-ბულა... 15—20 ვერსის იქით კი დაუ-სრულებლივ გაისმის გერმანელთა ზარ-ბაზნის ხმა „დგრრრ... დგრრრ... დგრრრ..“ ესენი კი აქ არხეინად წამოწოლილან, ისვენებენ... იციან, რომ მათი ამხანაგე-ბი ასე ადვილად არ დაუთმობენ მტერს აქეთკენ წამოვიდნენ...

ღამით სურათი იცვლება. სწორედ იგივე სანახაობა გადაგეშლებათ თვალ-წინ, როგორც დიდ მანევრების დროს.

ათასგან ცეცხლი გაუჩაღებიათ. ქვაბში წყალს საამური ჩუხჩუხი გაუდის. ირგვ-ლივ სამზარეულო მოუწყვიათ. თოფები წესზე დაურიგებიათ, უმეტესი ნაწილი ხიშტით მიწაში ჩაურჭვიათ, ხოლო კონ-დახებზე თავიანთი ჩექმები ჩამოუცვიათ. აქა-იქ საცვლებს აშრობენ. მეტი წილი ჯარისკაცებისა თითქმის სულ დედილ-შობილაა: ზოგი აკერებს საცვლებს, ზო-გი ჭრეცხს, ზოგი კიდევ არხეინად ნადი-რობს თავის საცვლების მოუსვენარ ფრინველებზე... ათობით და ოც-ოცობით ასე შიშვლად დაკრთიან ანთებულ ცეცხ-ლთან... ზოგნი ჩაცუცქულან, რაღასაც ღიღინებენ, ხუმრობენ... ზოგგან თამა-შობენ კიდეც. ცეცხლის ალზე მოცეკვე-თა შერხეული ტანი, განსაკუთრებით მხარ-ბეჭი, წითლად შეღებილი ჭვონია ადამიანს...

გათენდება და... ეს მოცეკვე მხიარუ-ლი ჯარისკაცები უნდა შეებრძოლონ ცეცხლის ნიაღვარს. ცხენოსანი, ქვეითა ჯარი, არტილერია, სათავდარაგონი, აფიცრები—ერთს ტაფაში იწვიან. ყველა-ნი თითქოს დასცინიან მქუხარე გერმა-ნელთა მოდღესასწაულე ზარბაზნებს და ერთურთს ვაჟკაცობაში ეჯიბრებიან...

საზოგადოდ როგორც იერიშის დროს, ისე უკანდახევისას ყველაზე მეტი მნიშვ-ნელობა ცხენოსან ჯარს აქვს. ამ შემ-თხვევაში რუსის ცხენოსანმა ჯარმა მარ-თლა სასწაული მოახდინა გალიციაში გერმანელთა ცეცხლის ნიაღვარის მოწო-ლის დროს. მაგრამ ყველაზე მეტად თუ ვინმემ ისახელა თავი, ეს ისევ კავკა-სიელებმა. მათზე, მათის მოღვაწეობის შესახებ არ შეიძლება უბრალო ქე-ბით დაკმაყოფილდეთ. აქ უსათუოდ საჭიროა მარლინის ენა, რომ აღწერო მათი სიმამაცე... ისინი ჩვენს ჯარებს გააფთრებულ არწივებად უდგნენ გვერ-დში, პირდაპირ სიკვდილს უცვივდებო-დნენ პირში, წარბშეუხრელად უშვერენ გაღელილს მკერდს და მით ჰფარავენ ჩვენს ჯარებსა... შეუძლებელია, რომ ერთი მაინც ჩამოშორდეს თავის ამხა-ნაგს, ანუ ცალკე შეებრძოლოს მტერს. მათი წესია: **ერთად სიცოცხლე, ერთად სიკვდილი.** სწორედ ეს მამაცი მთის არწივნია, რომ გერმანელებს შიშის ზარს სცემენ. თუ კი სადმე რაიმე შეიძლება გაკეთდეს, კავკასიელნი არ დაგზარდე-ბიან, ცხენით, ქვეითით მიიჭრებიან მტრის მავთულებთან, ორ-სამ საჟენზე ასკუპებენ ცხენს და მსუბუქად აფრინდე-ბიან თავის ყოველგვარ დამაბრკოლებელ ღობეს. მარჯვნივ და მარცხნივ მხოლოდ მათ შეაქვთ შიშის ზარი გერმანელთა რაზმებში. სახე შეშლილნი, გააფთრე-ბულნი, მძლავრი ყიჟინით გერმანელთა შემაძრწუნებელ საფრთხობელად მოჰქ-რიან ხოლმე. მართალია, საბო-ლოოდ გერმანელები რიცხვით სრი-სავენ ამ სასიკვდილოდ განწირულ გმი-რებს, მაგრამ არ შეიძლება, რომ თვი-თეულმა ხუთი-ექვსი, ხშირად ათი მაინც არ იმსხვერპლოს და ისე არ წავიდეს დამშვიდებით.

„სიკვდილიხ რაინდნი“...

აი სწორი სახელწოდება. გმირნი, მა-რთლაც სიკვდილის უსწორო რაინდები.

(რ. ს.)

პრესა

სოციალისტ-ფედერალისტები გვთხო-ვენ ჩვენი პროგრამის გამოცხადებას. მათ კითხვას რომ ავყოლოდით და მუხლმ-რივ ჩამოგვეთვალა ჩვენი მრწამსი—რაიც მეტად ადვილი საქმეა,—ეს იქნებოდა პარტიის დაარსება ზევიდან, ე. ი. შე-სართავიდან და არა დასაწყისიდან. ან მართლა რა ფასი აქვს,—ისიც ამ დროს!— ცარიელ დეკლარაციას.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში დაბეჭდილია „ივერიის“ პირველი მეთაუ-რი დიდ ილიასი—„წინა სიტყვაობა“, სადაც ასეთივე აზრია გატარებული. ჩვენ „სახალხოს“ შეკითხვაზე ზოგიერთა მი-ზეზების გამო პასუხი არ გავეცით. ვბეჭ-დავთ სამაგიეროდ შ. ამირეჯიბის წერი-ლის ნაწყვეტს ამავე საკითხზე.

ინკვიზიციის დროებმა გაიარეს, მაგ-რამ პირადი კრედოს მოტრფიალენი ჯერ-აც არ გამქრალან. სთქვი რა გწამს? აი, რით იწყობენ ყოველნაირ კამათს ისინი, ვინც ის უბრალო ჭეშმარიტება ვერ შეი-თვისა, რომ მრწამსი ადამიანისა მის სიტ-ყვებიდან კი არა, მის მოქმედებიდან უნ-და ამოკრიფო. ჩვენ გვაქვს კითხვები და ჩვენ გვაქვს პასუხი, ამბობს არ. ჯ—შვილი.—„თითოეულ ამ საკითხთაგანი ჩვენთვის ცალ-ცალკე კი არ არსებობს, არამედ ორგანიულად არიან შეკავშირე-ბულნი და ჩამოყალიბებულნი ერთ სო-ციალ-პოლიტიკურ მრწამსათ“. მაშასა-დამე, თქვენც უნდა სთქვათ, როგორია თქვენი პროგრამაო—ეკამათება იგი გა-ზეთ „საქართველოს“.—ჩვენ არ უარ-ვყოფთ ამ პროგრამმას და ოდესმე დრო მოითხოვს კატეგორიულად, რომ ეს პროგრამა გამოაშკარავდეს, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რა ფასი აქვს ნაჩქარევათ შედგენილ პროგრამმას. გულ-უბრყვი-ლობა იქნება, რომ ეხლა ჩვენ პროგრამა დავსწეროთ და პატარა ბროშურით გავ-სწოთ ხალხში. ქადალდის ნაფლეთი პანაცეი არ არის, რომ ამ პროგრამამ შეაკავშიროს ვინმე. ცარიელ პროგრამას ხალხი არ გაჰყვება, რადგანაც დიდი ხა-ნია წავიდა ის დრო, როცა პროგრამები ჩვენში ისევე საღდებოდა, როგორც ნა-ფოტები იმ კიბისა მორწმუნეთა შორის, რომელიც იაკობმა ნახა სიზმარში. გა-ნა ცარიელ პროგრამას რომ მნიშვნე-ლობა არა აქვს, თვით „სახალხოელებმა“ კი არ იციან? რა აქვთ მათ განა პროგ-რამის მეტი,—არაფერი!და ეს იმიტომ, რომ ყველაფერზედ ადრე ისინი პროგ-რამის შემუშავებას შეუდგნენ და იმ ელე-მენტებზედ, რომლის სახელმძღვანელოც იქნებოდა ეს პროგრამა, სულ არ იზრუ-ნეს. რა შედეგი მოჰყვა ამას? ის რომ მათი პროგრამა უბრალო ეტიკეტს დაე-მსგავსა, რომლითაც ისინი თამამად შე-დიოდნენ თავად-აზნაურთა დაწესებულე-ბებშიც, მუშებთანაც, გლეხებთანაც და სავაჭრო სახლებშიაც. ასეთი პროგრამა ჩვენთვის საჭირო არ არის. საღი და ცხოველი პროგრამა მუდამ სოციალ-პო-ლიტიკურ ინტერესთა ნაკარნახევი არის. ქართულ სოციალურ ჯგუთა ინტერესე-ბი, თუ ყველასი არა, ზოგიეროების მაინც, მხოლოდ ეხლა ირკვევა და აშ-კარავდება. ეს პროცესი ჯერ არ და-სრულებულა და როდესაც ეს ინტერე-სები მთლად გამოაშკარავდებიან, მხო-ლოდ მაშინ შეიძლება ჩვენი პროგრამის გამოქვეყნება. („სამშობლო“)

ახალი ამბავი

✦ **ვაჟა-ფშაველას ავადმყოფობის გამო** კვირას, 21 ივნისს, კონსულიუმი ჰქონდათ ექიმებს ვირსალაძეს, გომარ-თელს, მუხაძეს, მიქელაძეს და მახვილა-ძეს. ექიმების აზრით საშიში არა არის რა; სიცხემ უკლო ავადმყოფს და თავს კარგად გრძნობს.

✦ **ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების** მიერ გამართულ სეირნობ-ას 21 ივნისს ძალიან შეუშალა ხელი წვიმამ, რომელიც ღამის 9 საათზე მო-ვიდა, სწორედ იმ დროს, როცა ხალხი მიაწყდა ბაღს. დიდძალი ბილეთი ლო-ტარია-ალეგრის გაუსყიდველი დარჩა და ამას გარდა ზოგი ნივთი გადატან-გად-მოტანის დროს დაზიანდა, ხოლო ზოგი კიდევაც დაიკარგა. მიუხედავად ამისა, საერთო შემოსავალი სეირნობისა 2,500 მანეთამდეა. ხარჯები ჯერ არ არის ნა-ანგარიშევი. როგორც ფიქრობენ, წმინდა შემოსავალი 2,000 მანეთამდე დარჩება.

✦ **ჯარისკაცთა საყურადღებოდ.** ბევრს ჯარისკაცთ, რომელთაც სათავად-აზნაურო და სხვა კერძო სასწავლებლე-ბის მოწმობა ჰქონდათ და ნებას არ აძ-ლევდნენ პრაპორჩიკის შკოლაში შესუ-ლიყვნენ, მთავრობამ ნება დართო ეგზემე-ნების დაჭერისა. მათ ექმნებათ „ვოლნო-ოპრედელიაუშჩის“ მეორე ხარისხოვანი უფლება. ხსენებულ სასწავლებელში 362 კაციდან უკვე ოცმა კაცმა დაიჭირა ეგ-ზამენი. აი მათი სიაც: 1) გიორგი ბეგი-შვილი, 2) ვალერიან მიქაშვილი—დაქა-შვილი, 3) ანდრია დვანაძე, 4) სოლო-მონ ქავთარაძე, 5) კონსტ. ქიქაბიძე, 6) გიორგი ხუროძე, 7) გრიგოლ ხუროძე, 8) იაკობ დონდუა, 9) ალექსანდრე ლო-მიძე, 10) ვლად. ლორთქიფანიძე, 11) შალვა მესხი, 12) ალექსანდრე მაჩაბელი, 13) არჩილ სეკონია, 14) ლევან ურუშა-ძე, 15) ივანე ხაინდრავა, 16) სტეფანე ხავთასი, 17) ლევან ჩოჩია, 18) ვას. ჩხაი-ძე, 19) ივანე ცალქალამიძე და 20)გიორ. ფავლენიშვილი.

✦ **მოძრავ აბანოს დემონსტრაცია.** შაბათს, 27 ივნისს, ქალაქის გამგეობის ეზოში გასინჯავენ ახალი ტიპის მოძრავ აბანოს.

✦ **სახალხო უნივერსიტეტთა საზო-გადოების წევრთა საგანგებო კრება.** კრება შესდგა 21 ივნისს, დილის 12 საათზე. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბ-ნი მარქარიანი, მდივნად ბ-ნი გასან-ზადე. კრებამ განიხილა და დაამ-ტკიცა: 1) მოხსენება, სარევიზიო კომისი-ისა 1913 და 1914 წლების ანგარიშის შესახებ. შემოსავალი ჰქონია ხარჯვა-დოებას ხსენებელ წლებში 4.535 მან., ამდენივე ხარჯი. ანგარიში დამტკიცე-ბულ იქნა. ამასთანავე, თანახმად კო-მისიის წინადადებისა, კრებამ დაადგინა საქმის მწარმოებლად და ბუჰგალტრად ერთი კაცი იყოლიოს. 2) ინსტრუქცია სექციებისათვის. ახალი ინსტრუქციის ძალით გამგეობის წევრს სექციაში სა-თათბირო ხმა ეძლევა და არა გადამ-წყვეტი, როგორც წინად ჰქონდა; ამა-სთანავე სექციებს ირჩევენ 1 წლით. 3) მოხსენება გამგეობისა თავის მოქმე-დების შესახებ მომავალში და განახლე-ბულ გამგეობის მოქმედებისა დღემდის. ამასთანავე მომხსენებელმა ნ. მ. კუზნე-ცოვმა გრძნობით სავსე სიტყვებით მიჰმართა კრების წევრთ თანხმობით იმუშაონ საერთო საქმისათვის, რაიც კრებამ თანაგრძნობით მოისმინა. 4) გამ-გეობის წევრებად არჩეულ იქნენ ბ-ნნი გასან-ზადე, ხუციშვილი და ლომთათიძე; სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა შე-მოდგომამდე გადაიდვა.

✦ **მხატვარს მოსე თოიძეს** თავისი სურათების გამოფენისათვის 21 ივნისამ-დე ჰქონდა დათმობილი დარბაზი ახალ-კლუბში. კლუბის მამასახლისთა საბჭომ ნება მისცა ბ-ნ თოიძეს 29 ივნისამდე განაგრძოს გამოფენა. 120 სურათიდან ნახევარზე მეტი გაიყიდა; გაყიდულთა რიცხვშია ერთი დიდი სურათი, რომე-ლიც ბაზარს წარმოადგენს და რომელიც 1,000 მანეთად გაიყიდა. ერთი სურათ-თაგანი გაიყიდება ვაჭრობით, ე. ი. ვინც მეტს შეაძლევს, იმას მიჰყიდიან და შე-მოსული ფული გადადებულია აჭარლების სასარგებლოდ.

✦ **სამართალი.** გუშინ, 22 თიბათ-ვეს, საოლქო სასამართლოში დანიშნუ-ლი იყო საქმე „კლდის“ რედაქტორისა. ბრალდება წამოყენებული იყო 1034 მუხლის ძალით ჟურნალ „კლდის“ № 18 ში მოთავსებულ წერილისათვის: „სა-ხელმწიფო სათათბიროს კომედია“ და № 19-ში მოთავსებულ წერილისათვის: „ახალი უბედურება“, რომელიც შეეხე-ბოდა ტირიფონაში პოლიგონის გამარ-თვას.

პროკურორმა მოითხოვა კარების და-ხურვა.

ხანმოკლე მსჯელობის და სანგრძლი-ვი თათბირის შემდეგ, სამართალმა გა-დასწყვიტა რედაქტორი რ. გაბაშვილი დააჯარიმოს ოცი თუმნით, ან ორი თვით დააპატიმროს.

სანოვაგე. 21 ივნისს მოტანილია თბი-ლისში: ფქვილი 7 ვ., სიმინდი 1 ვ., შა-ქარი 1 ვ., ფხვნილი შაქარი 1 ვ., მარი-ლი 2 ვ., წვანილი 2 ვაგ., კიტრი 1 ვ., კრამიტი 1 ვ., ქვის ნახშირი 1 ვ. ნავთი 14 ვ., რკინეულობა 3 ვ., აგური 1 ვ., ქაღალდი 3 ვ. ერბო 673 ფ., კა-რაქი 118 ფ., კვერცხი 180 ფ., ქერი 216 ფ., საპონი 260 ფ., ღვინო 393 ფ. და ქონი 113 ფ.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ ნაკადულის მე-10 ნომერი მცი-რეწლოვანთათვის შემდეგის შინაარსით: მომღერალი, სურათი კაულბანისა, ნაკა-დულის მკითხველები—შიო მღვიმელისა, გრძნეული ბატი,—გიორგისა, ჭიკ-ჭიკ-ჭიკ! ლექსი დავ. ელიოზიშვილისა, ბრმა დედოფალი, ლევ. გძელიძისა, მკითხვე-ლების წერილები: თამარის დღეობა და შემოწირულება.

იმავე ჟურნალის მე-V ნომერი მო-ზრდილთათვის: გაზაფხული, სურათი, ნაწყვეტები, ლექსი გ. ქუჩიშვილისა, მწყემსის წერილები, (შემდეგი) ი. მჭე-დლიშვილისა, გველი, ცქვიტისა, ძღვნად შიო მღვიმელს,—ლექსი ი. სიხარული-ძისა, ტასიკო,—ელენე კლიმიაშვილისა, ოქროს ფრთებიო, თარგმანი თამარ კარბელაშვილისა, ღრუბლები და ტალ-ღები, რაბიდრანათ თაგორისა, თარგ. ნინო ნაკაშიძისა, ბრძოლა ადამიანისა ბუნებასთან, (წერილიმ მეთერთმეტე) ივ. როსტომაშვილისა. მცენარე და ადამიანი (წერილი პირველი) ალ. ალხაზიშვილისა, შემოწირულება, გასართობი,—შარადა და აღსნა.

იკორთის ტაძარი

(გორის მაზრა)

საქართველოს ნაშთთა შორის განსა-კუთრებულ ყურადღების ღირსია დი-დებული იკორთის ტაძარი „მთავარ-ან-გელოზის მიხეილისა“. ეს ტაძარი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ისტორიკოსი ბროსსე გვიმტკიცებს, უნდა აეშენებინათ მეთორმეტე საუკუნეში [1]). ტაძრის სამხრეთით კედელზედ არის მხედრული ასოებით წარწერა. იგი გვიმტკიცებს, რომ ტაძარი განუახლებიათ მეჩვიდმეტე საუკუნეში ფარნავაზ მეფის დროს.

აი თვით წარწერა: „..... მე..... როდამ ..... ცოლყოფილმან ..... მან ..... ერისთავმან იესე ვიგულისმოდგინე.... ღვთაებისაგან... ეს მთავარ-ანგელოზისა... ხელახლად ხელვყავით ვითამც დიმ... ოთხი სამხრო გავაკეთეთ...შიგნით სახლები... საკრებულო, სამრეკვლო საძირკვლით გავასრულეთ... სულისა ჩვენისა საოხად... ძეთა ჩვენთა სასულიერეროდ... სადღეგრძელოთ. შემიწირეთ წმინდანო მთავარ-ანგელოსნო მეორე ესე მსახურება, მეოხ გვეყვენით დღესა მას დიდსა განკითხვისასა. ამასვე ქორონიკონსა „ტჲა“ შაჰნაზის მეფობასა.....“

ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი ქორონიკონს აწერს 1673 წელს და განმარტებს: „როდამ, როგორც სჩანს, უტყუარ საბუთებიდგან, იყო დედა იასე ერისთავისა, რომლის დროსაც, მართლაც, მეფობდა საქართველოში შაჰნავაზი ან ვახტანგ V. [2]) ვახუშტი თავის „საქართველოს ღეოღრაფიულ აღწერაში“ იკორთის ტაძარზედ სწერს: „მხოლოდ კვლავ ორბოძალის მთის სამხრით არის მთის კალთას შინა, იკორთას მონასტერი დიდი მთავარ-ანგელოზისა, გუმბათიანი, კეთილად ნაშენი, კარგს ადგილს, ზის არხიმანტრიტი: ამ მთის სამხრით კერძს, ჯარიაშენიდან ვანათამდე უწოდებენ გვერდის ძირს, და არს ადგილი ესე ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ბრინჯბამბას გარდა ყოველი სცენდების ნაყოფიერად, ვითარცა დავწერეთ ქართლისასა: არამედ ღვინო აქაური თხელი და მომჟაო, გარნა საამო სასმელად“. [3])

ვახუშტის სიტყვით ტაძართან ახლოს შენობათა ნანგრევები მოწმობს, რომ იკორთის ტაძართან დაარსებული ყოფილა მონაზონთა სავანე. დრო მონასტრის საძირკვლის ჩაყრისა აგრეთვე არა სჩანს. ნანგრევების მოყვანილობა გვიმტკიცებს, რომ იმ შენობაში ადგილი ექნებოდა დათმობილი სასწავლებელს, როგორც იყალთოს და ათონის მონასტრები.

ამ წმიდა სავანის წინამძღვართა შორის საპატიო ადგილი უჭირავს თავის დროის შესაფერად ნასწავლს კაცს არხიმანდრიტ გამალიილ გამრეკელს. აღუშფოთებელი ყოფა-ცხოვრება სავანისა, რომელიც არა ერთხელ შეირყეოდა ხოლმე—მაჰმადიანთა და კავკასიის მთიელთა თავდასხმით, გაგრძელდა 1816 წლამდე, როდესაც სამწუხაროდ იკორთის მონასტერი გაუქმებული იქმნა. მონასტრის გაუქმების შემდეგ დაარსდა იკორთის სამრევლო, რომელსაც განაგებს მთავრობის მიერ განიშნული მღვდელი.[4]) იკორთის დიდებულ ტაძარში, რომელიც იყო და არის საგვარეულო სამარე წევრთა ღვაწლშემოსილთა თ. ერისთავთა ქსნისათა, მიიღეს საუკუნო თავშესაფარინაწილთა წმინდათა თავადთა ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავთა, რომელთაც მიიღეს გვირგვინი მოწამეობისა თ. ბიძინა ჩოლოყაშვილთან ერთად სპარსეთში შახ აბაზ II-ის დროს 1661 წელს მართლმადიდებლის სარწმუნოების აღსაღებისა და თავის სამშობლოს დაცვისათვის. საქართველოს ეკლესიამ შერაცხა რა ძმათა მოწამენი წმინდათა შორის სამშობლო ეკლესიისა, დაადგინა დღესასწაული ხსენებათ მათდა 18 ენკენისთვე.

იკორთის ტაძარში საუკუნოდ განისვენებენ შემდეგნი ღირსშესანიშნავი პირნი:

1) ქეთევანი, მეუღლე მოწამისა შალვა ქსნისერისთავისა. გარდაიცვ. 1674 წ.

2) მარიამ, მეუღლე ელიზბარ ერისთავისა, ასული იმერეთის მეფის სოლომონ I-სა დიდებულისა გარდაიცვ. 1798 წ.

3) გაიანე, ასული მეფე გიორგი VIII, მეუღლე ღენერალ-ინფანტერიისა თ. გიორგი იესეს ძე ერისთავისა, გარდაიცვ. 1820 წ.

4) შანშე ერისთავი, რომელსაც თვალები დასთხარეს ხოროსანში ნადირ შახის ბრძანებით 1735 წ., და რომელიც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გარდაიცვალა და დასაფლავებულ იქმნა 1741 წ.

5) იესე ერისთავი დაბრავებული სპარსეთში † 1741 წ.

6) ელიზბარ ერისთავი, ძე გიორგი კულარ აღასი, გარდაიცვ. 1813 წ.

7) ელენე, შანშე ერისთავის მეუღლე გარდ. 1815 წ.

8) სოლომანა, მდივანი დავით ერისთავის ძე გარდ. 1822 წ.

9) ნინო, ივანე ერისთავის მეუღლე, ასული თამაზ ჯამბაკურ-ორბელიანისა, გარდ. 1827 წ.

10) ვასილი, ძე ივანესი შვილი-შვილი ელიზბარ ერისთავისა, გარდ. 1831 წ.

11) შანშე იესეს ძე ერისთავი პოდპოლკოვნიკი, გარდ. 1831 წ.

12) მიხეილი, ვასილის ძმა, გარდ. 1834 წელს.

13) ინფანტერიის ღენერალი თ-დი გიორგი იესეს ძე ერისთავი, რომელსაც ჰყავდა ცოლად საქართველოს მეფის გიორგი VIII-ს ასული გაიანე, და რომელიც იყო გაგზავნილი რუსეთში დეპუტატად 1801 წ. საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმეზედ, გარდ. 1863 წ. შობიდან ას სამი (103) წლისა,

14) თავადი თორნიკე იესეს ძე ერისთავი განმაახლებელი ლაგვერის მონასტრისა.

15) თ-დი ივანე... (?). ერისთავი, მცოდნე ქართულის ლიტერატურისა. გარდ. 18..?

16) ზაქარია გიორგის ძე ერისთავი მოკლული ზაქათალაში 1850 წ.

17) თ. გიორგი დავითის ძე ერისთავი, პოეტი და დრამატურგი. გარდ. 10 ენკენისთვეს 1864 წ. [5]).

სამწუხაროდ ეს შესანიშნავი ტაძარი, ამ უკანასკნელ ჟამს, თანდათან ირღვევა. მისი გარეგანი მორთულობანი ჩუქურთმითა ძრიელ დაზიანდა; შიგნით კედლებზედ ნალესი სცვივა, კედლებზედ ნახატები სრულიად წაიშალა, მხოლოდ ტრაპეზში შერჩა რამდენიმე კიდევ. ამისთანა წმიდა ადგილი, რომელსაც შემოძარცული აქვს გალავანი, აწ უკიდურეს მდგომარეობაშია.

კომიტეტი, შედგენილი განსაახლებლად იკორთის მთავარ ანგელოსის ტაძრისა საქართველოს ეგზარხოსად ყოფილ ინოკენტის ნებითა და დამტკიცებითა, შეუდგა განახლებას ამ ძველის ძეგლის საქართველოისას 1913 წლიდან.

ამ ფრიად საინტერესო საქმის დაწყების მოთავეთ უნდა ჩაითვალოს ეკნეინა ეკატერინე ზაქარიას ასული ერისთავისა, რომელმაც არ დაიშურა ამ საშვილიშვილო საქმისთვის არც ფული და არც შრომა. ზემოდ მოხსენებულ დიდებული ტაძრის გასამშვენიერებლად შესწირა ასი თუმანი და, როგორც თავმჯდომარე ამ კომიტეტისა, დაუღალავად შრომობს, რათა პირნათლად დაამთავროს კეთილად დაწყებული თავისი განზრახვა, რითაც დიდ ღვაწლს გაუწევს სამშობლოს.

ზემოდ ხსენებულ კომიტეტში წევრებად ირიცხებიან შემდეგნი პირნი: 1) თაყაიშვილი, 2) კლდიაშვილი, 3) ან. ალ. კნ. ამილახვრისა, 4) დეკანოზი ი. კაპანაძე, 5) შ. რ. თ. ერისთავი, (იგივე ხაზინადარი), 6) ნ. ა. ტარსაიძე (მდივანი) და 7) [6]) ადგილობრივი მღვდელი.

იკორთის ტაძრის წინამძღვარი მღვდ.

ვ. უნაფქოშვილი.

---

[1]) Кавказъ. Въ древныхъ памятникахъ христіянства стр. 73.

[2]) „სასულიერო მახარობელი“. ნოემბერი 1865 წლ. გვ. 75.

[3]) „ღეოღრაფიული აღწერა საქართველოსი“ ვახუშტის მიერ გვ. 236.

[4]) Икортскій монастырь Пл. Іоселіани გვ. 85.

[5]) ზემოდ მოყვანილი პირნი მოხსენებული ჰყავს ისტორიკოსს პლატონ იოსელიანს 1865 წლის „სასულიერო მახარობელში“ სათაურით:

„Икортскій Монастырь“ და ისტორიკოს ბროსსეს „არხეოლოგიური მოგზაურობა გვ. 70 მეექვსე მოხსენება, მესამე ტომი.

[6]) ამავე კომიტეტის წევრად ირიცხებოდა აწ განსვენებული ნ. ი. ლომოური. საარხიტექტურო საქმეს განაგებს არხიტექტორი ბილფელდი.

„ჩვენი დროის რაინდი“

ასეთ სათაურით „ნოვოე ვრემიაში“ საინტერესო წერილები იბეჭდება, სადაც ცდილობენ დაახასიათონ ვილჰელმ მეორეს პიროვნება. მოგვყავს ზოგიერთი ადგილები ამ წერილისა:

ვილჰელმის მოთხოვნილება ყველგან და ყოველთვის თეატრალური როლის თამაშია და ეს ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს მაყურებლებზე. ეხლაც, ამ ომის დროს, როდესაც გერმანიის მდგომარეობას მაინც უნდა გამოეფხიზლა იგი,—ის მაინც უცვლელია. ვილჰელმის მეგობარი ექიმი განგჰოფერი აგვიწერს იმპერატორის უკანასკნელ მოგზაურობას დასავლეთ ასპარეზზე, საიდანაც მხოლოდ იმ აზრის გამოტანა შეიძლება, რომ ის ყველგან აღფრთოვანებულ ფრაზებს ხმარობს—მის სიტვვებში არაფერია ჩვეულებრივი, ადამიანური. ვილჰელმი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას თუ როგორ შთაბეჭდილებას მოახდენს ის საზოგადოებაზე. რადგანაც ძალას—როგორც გერმანელს,—ის ყველაფერზე უფრო მაღლა აყენებს, ამისათვის საკუთარ პიროვნებითაც ის ცდილობს გამოხატოს რაღაც ძლიერი, რაინდი. ის პირდაპირ თვალებში გაცქერდებათ, თითქოს თქვენი დამორჩილება სურდეს. მარჯვენა ხელის თითებზე მძიმე ბეჭედს ატარებს და როდესაც ხელს ჩამოგართმევთ ხოლმე, ისე მაგრად უჭერს ხელს, რომ ადამიანს საშინლად ატკენს ხელს. გარშემო ის შიშსა და მოკრძალებას ჰფენს. ინგლისელი ისტორიკოსს უიტმანს, რომელიც ბისმარკს ახლო იცნობდა, შემთხვევა ჰქონდა ენახა ვილჰელმის ფოტოგრაფიული სურათი შემდეგის საკუთარ წარწერით: Oderint dum meru·nt,—„ვძულდე, ოღონდ ეშინოდეთ“.

მივიწყებული ფურცელი

(„ივერია“ 1887 წ.).

წინასიტყვაობა

ჟურნალ გაზეთობაში შემოღებულია ერთი ახირებული ჩვეულება. გამოვა ახალი გაზეთი თუ არა, მისი რედაქცია უცილო ვალად ჰრაცხს პირველ ნომერშივე საზოგადოებას აუხსნას თვისი დედა აზრი, თვისი მიმართულება, აღნუსხოს ყოველივე ის, რითაც უპირობს გაზეთის სულის ჩადგმას და ხორცის შესხმას. ამ ჩვეულების ძალმომრეობით გაზრდილი საზოგადოებაც დაინახავს ახალ გაზეთს თუ არა, გულდაჯერებულია, რომ პირველ ნომერშივე იპოვის რედაქციის აღსარებას მასზედ, თუ რა აზრი და დანიშნულება აქვს ამ ახალ გაზეთსა, რის შემოტანა ჰსურს მწიგნობრობაში; რა გზას, რა კვალს დაადგება საზოგადო ცხოვრებისაგან მოვლინებულთ საგანთა კამოძიებაში; რა თვალით განიხილავს ყოველს მას, რაც ჩვენი თუ სხვის ცხოვრება თვისს დაუდგრომელ მიმდინარეობაში აღმოაჩენს, რას და როგორ ემსახურება და ბოლოს რას გვპირდება და რას გვიქადისო.

ამ ჩვეულებას თავისი მართებული და პატივსადები საბუთი აქვს. საზოგადოებამ, რასაკვირველია, უნდა იცოდეს რა აზრის კაცთან იჭერს საქმეს, რისა და ვისს მიმდევარს უნდა ათხოვოს თავისი ყურადღება. მაგრამ ყოველ მასზედ, რაც წინ მოვიხსენიეთ, პასუხის მიცემა თითქმის შეუძლებელია. თუნდ ეგ არ იყოს, ცოტა უხერხოდაც მიგვაჩნია. ამ შემთხვევაში პასუხად ხომ ცარიელი ლიტონი სიტყვა უნდა იყოს,—და ცარიელი სიტყვა რა თამასუქია ნამეტნავად ამისთანა ეჭვით სავსე დროში. ვინა ვარ, რა აზრისა ვარ, რა საქმის დადგენა მინდა, რისთვის გამოვდივარ მოედანზე—ეს ყველა ამისთანა საგანია, რომელზედაც საუბარი ვერ ეხერხება კაცსა. ორში ერთი: კარგს იტყვის კაცი,—თავის თავზე თქმა იქნება და თუნდ მართალიც იყოს, ტრაბახობაში ჩამოართმევენ, ცუდს იტყვი კიდევ—სულელობა გამოვა.

.... გაზეთის საქმე დროთა მიმდინარეობაა.

დროს დავაცალოთ მისი თქმა, რის მოლოდინიც აქვს მკითხველს რედაქციისაგან.

ილია ჭავჭავაძე.

ჩვენი ცხოვრება

დაჭრილი ყაჩაღის პოვნა.

13 ივნისს, ივრის ხეობაში, ლაპრების ტყეში გურჯაელ მგზავრებს შეჯახება მოუვიდათ ყაჩაღებთან. როგორც ვწერდით, ერთი ყაჩაღთაგანი იქვე მოკლულ იქმნა. დანარჩენნი გაიქცნენ. ეხლა გამოირკვა, რომ ერთიც მძიმედ დაჭრილა კოლა არაქელოვის მიერ. ყაჩაღი მაუზერის ტყვიითაა კისერში დაჭრილი. იგი იპოვეს ღონემიხდილი ივრის ტყეში 17 ივნისს და წამოიყვანეს თბილისში. როგორც შევიტყვეთ, დანარჩენი ყაჩაღებიც დაუჭერიათ...

გურჯაელი.

სოფ. ჯუმათი. (გურია). სოფლის მახლობელ გორაკზე მწყემსმა ბავშვებმა ნახეს მოკლული ქალის გვამი. როგორც გამოირკვა, ქალი მოუკლავთ ჯოხით; მოკლულის მიზეზი შურისძიება ყოფილა. ამბობენ, ქალს გაუცია ვიღაც ავაზაკებიო და მკვლელობაც იმათ ჩაიდინესო. დაბა ლანჩხუთიდან მოსულმა პოლიციის ბოქაულმა ხალხს ნება მისცა აირჩიოს კომისია და მიანდოს მკვლელობის ყოველმხრივ გამოძიება.

ბეჟათუბნის საზოგადოება (შორაპნის მაზრა). მუდმივმა წვიმებმა და ნიაღვარმა სულ გააოხრა ეს საზოგადოება. სახლები დაანგრია, სიმინდი და ვენახი გადალეკა. მარტო სადგურ მოლითას ახლო რამოდენიმე ათი ათასი მანეთის ზარალია. ხე-ტყის მრეწველ კურცხალიას და სომხებს რაც შეშის მთებიდან ჩამოსაზიდი ღარები ჰქონდათ რამოდენიმე ვერსის მანძილზე და შეშები მთლად ერთიანად ნიაღვარმა ქვემო იმერეთისკენ წალეკა.

გურულ-მეგრელი.

ომში დაჭრილ-დახოცილნი.

მოკლულია: ხორუნჟი ვლადიმერი იოსების ძე **გვახარია**. დაჭრილნი: შტაბსროტმისტრი ნიკანდრი იოსების ძე **გაბუნია**. ხორუნჟი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე **გედევანოვი**. კაპიტანი ალექსანდრე დიმიტრის ძე **დიდებულიძე**. დაიჭრნენ და ბრძოლის ველზე დარჩნენ: პრაპორ. გიორგი დავითის ძე **წულუკიძე**. გრიგოლი მიხეილის ძე **ჭეიშვილი**. უგზო-უკვლოდ დაიკარგა: პრაპორ. გრიგოლი ვასილის ძე **სულავა**.

აჭარელთა სასარგებლოდ

დიდად პატივცემულო ბატონო რედაქტორო! თანახმად საზოგადო კრების დადგენილებისა, მოსკოვის ქართველთა საზოგადოების გამგეობა გიგზავნით რა ორას (200) მანეთს, უმორჩილესად გთხოვთ ეს ფული გადასცეთ იმ კომიტეტს, რომელიც განაგებს დაზარალებულ აჭარლებისთვის დახმარების აღმოჩენას.

დავშთები თქვენი პატივისმცემელი
მოსკოვის ქართველ საზოგადოების
ხაზინადარი **ნიკოლოზ ხორავა.**

დღემდი „საქართველოს“ რედაქციამ აჭარელთა სასარგებლოდ მიიღო სულ 228 მანეთი, რომელიც დანიშნულებისამებრ გარდაეცა.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

მაზანდა თბილისის ბაზარზედ

გაიყიდა:	**17 თიბათვეს**
ტყემალი . . .	2 მ.
კიტრი 100 ც. . .	3 მ. 50 კ.
ატამი	3 მ.
გარგარი . . .	7 მ.
თხილი . . .	1 მ. 60 კ.
	18 თიბათვეს
კიტრი 100 ც. . .	3 მ. 50 კ.
ვაშლი	3 მ.
	19 თიბათვეს
კიტრი	3 მ.
ტყემალი . . .	2 მ.
ალუბალი . . .	2 მ. 50 კ.
კარტოფილი . . .	1 მ. 60 კ.
თხილი	1 მ. 60 კ.
... . . .	4 მ.
	20 თიბათვეს
კიტრი . . .	3 მ.
ტყემალი . . .	2 მ.
ატამი . . .	3 მ.
ვაშლი . . .	2 მ. 50 კ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთ... შაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუ... დება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით ... შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან . . .	8 ს. 13 წ.
ნავთლუღ-ამიერ-კავ. .	8 „ 40 „
ნავთლუღ-კახეთ. . .	8 „ 58 „
ვაზიანიდან . . .	10 „ 06 „
ივრიდან	21 „ 15 „
საგარეჯოდან . . .	11 „ 58 „
ბადიაურიდან . . .	12 „ 56 „
მელაანიდან . . .	2 ს. 16 წ.
გურჯაანიდან . . .	3 „ 37 „
კარდენახიდან . . .	4 „ 12 „
წნორის-წყალზე . . .	4 „ 44 „

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან . . .	3 ს. 42 წ.
ვაჩნაძიანიდან . . .	4 „ 33 „
თელავში	5 „ 27 „

თბილისისკენ მოდის:

წნორის-წყლიდან . .	8 ს. 58 წ.
კარდანახიდან . . .	9 „ 41 „
გურჯაანიდან . . .	10 „ 24 „
მელაანიდან . . .	11 „ 39 „
ბადიაურიდან . . .	12 „ 59 „
საგარეჯოდან . . .	2 „ 80 „
ივრიდან	2 „ 50 „
ვაზიანიდან . . .	3 „ 55 „
ნავთლუღ-კახეთ. . .	4 „ 58 „
ნავთლუღ-ამიერ-კავ. .	5 „ 13 „
თბილისში	5 „ 28 „

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან . . .	8 ს. 54 წ.
ვაჩნაძიანიდან . . .	9 „ 25 „
გურჯაანში . . .	10 „ 07 „

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან . . .	12 ს. 54 წ.
№ 4 ბათომიდან . .	5 ს. 55 წ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს. 41 წ.
№ 10 ბათომიდან.	9 ს. 51 წ.
ჯულფიდან. .	6 ს. 53 წ.
ბორჯომიდან	7 ს. 25 წ

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ . .	1 ს. 45 წ.
№ 4 ბაქოსკენ . .	7 ს. 3 წ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს. 8 წ.
№ 9 ბათომისკენ . .	8 ს 53 წ.
ჯულფისკენ .	10 ს. 23 წ.
ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუ...
კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის
პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

25—

მეხილეთა ამხანაგობა

„ჭართლი“

„ქართლის“ კოოპერატიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველ... ჩამოდის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიანთ შე... ნონ ყოველნაირი ხილი იაფად.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით“, ... წველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „მეშ... ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ... გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსე... და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

ასოთ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.